

გაზეთის ფასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნილათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საღიჯ ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიძის შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასაღებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროებას“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი:—მმართველობის განკარგულება: უხანაესი მანიფესტი.—„დროების“ კორრესპონდენცია: მხერ ოჯახს ეშმაკები დაეპატონენო.—პოლიტიკა: იტალია.—ტელეგრაფები.—მწერგია და ახოვნება. წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება. ძველობითი განცხადება.

მმართველობის განკარგულება.
უხანაესი მანიფესტის
წყალობითა ლეთისათა
ჩვენ, ალექსანდრე II,
იმპერატორი და მით მპყრობელი
სრულიად რუსეთისა,
მეფე პოლშისა, დიდი მთავარი შინლიანდიისა
და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

გამოუცხადებთ ყოველთა ერთგულთა ქვეშე ერდობთა ჩვენთა. ამ წლის ივნისის 26 ვაუწყეთ ჩვენ სახალხოთ ბრწყინვალეთ აღსრულებული ნიშნობა საყვარელისა ძმის წუ-

ლისა ჩვენისა, დიდის მთავრინასი ოლგა ქო-სტანტინეს ასულისა მისს დიდებულღებზე კაროლზე ელლინთა ბიორგი პირველზე, ხოლო დღესა ჩვენის დასწრებით და სასულიერო და საერო ზემოთა კრების წინაშე აღსრულდა ზამთრის სასახლის სობოროს ეკკლესიასა შინაქორწინება ამ საყვარელთა ჩემდამო სასძლოთა, წესისა მებრ მართლ-მადიდებელის ჩვენის ეკკლესიისა გადახდილი.

მევედრებით რა მაღალთა-შინა ღმერთსა, რათა გადმოსცეს ახალად-დაქორწინებულთა ლეთიური მადლი—ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომელ ყოველნი ერთგულნი ქვეშევრდამნი ჩვენნიც გულთა შინა თვისთა აღაღვენენ ამა ლოცვათა შოვლად-სახიერისა ლეთისა მიმართ შოვლის მპყრობელისა. იქმნა ს.პეტერბურგსა შინა, 15 დღესა ოკტომბრისასა, წელსა შობითვან ძრისტეს ათას რეას სამოც და მეშვიდესა, ხოლო მეფობასა ჩვენისა მეთათამეტესა.

ნამდვილზე მისის იმპერატორებისთის დიდებულღების საკუთარის ხელით მოწერილია.
„აღმკანდრე“

მისის იმპერატორებისთის შმალღესობის დიდის მთავრინასი ოლგა ქო-სტანტინეს ასულისა და მისის დიდებულღების შლონიგების (ბერძენების) ძაროლის ბიორგი პირველის ქორწილი იყო 15 ოკტომბერს, საღამოს.

ოხმარს ოჯახს

ეშმაკები დაეპატონებიათ.

დიდხანა მსურს მე გამოვსთქვა სხვა და და სხვა გვარი დაწყებული დავა, რომლისაგამო ჩვენ შორის მრავალნი პირნი მისდევნ ძველ ჩვეულებას. მაგალითათ: წყალ გაღმა წაედავე წყალგამოღმა ხომ დაგჩნებო, და შემდგომ დაწყულღებულნი იტყვიან ოხერთი: „ღვიღუპე და დავნელი ამ დავა დარაბაში, ჩემს მოცდენას ვილა ჩივის, ვალი ავიღე, ამდენი აქ დავნარჯე, ამდენი იქ, ამდენი არხების დამწერისათვის მიმიცია, ეს დავა გველუპავს, ეს არის ჩვენი ცხოვრების შემაწუხებელი მიზეზი.“ რასაკვირველია, ამ გვარი კაცის ცხოვრება და გონება ყოველთვის გამწარებული უნდა იყოს. აი რა გიანბნათ:

წარსულ წლებში სცხოვრებდა კაცი, ვინმე ღირსეულად დაჯილდოებული ხელმწიფისაგან თავის კარგის სამსახურისათვის და ჩვენ იმის მემამულეთა, გვესახლებოდა ის, აწ ნეტარად განსვენებული უმემკვიდროთ, იმას დარჩა ღვიღლი ძმა და ცოლი ქერივი, რომელმაც მიიღო სრული მონაწილეობა მზღლისაგან თავის ქრმის დანარჩენის მოძრავისა და უძრავის ქონებიდამ, რაც ერგებოდა კანონით და დასდვა ზღწერილი დამოწმებული სასამართლოში 183... წელსა, რომ, რადგანაც თავისი მზითევი და ყოველი ხვედრი კანონით მონაწილეობა ქრმის საცხოვრებელიდამ მიიღო ფულათ და შეიქნა სრული კმაყოფილი, ამიერიდან აღარ გამოაცხადოს არაოდეს მემკვიდრება თავის ქრმის დანარჩენზედ. ამის შემდგომ მოკდა მზღლიცა იგი უმემკვიდროთ და ამ ორისავე ძმების დანარჩენი ქონება უნდა ყოფილიყო ამოწვეტილი სახაზინო; ანისთვის ხსენებულმან ქერივმან 184... წელსა დაივიწყა თუ არა თავისი ხელწერილი, ის მემ-

რთმან უწყის, შეიტანა არხა სულში და ითხოვა მემკვიდრეობა, ვითომც ამის ქრმის დანარჩენი სახელდობ ესა და ეს იყოს კეთილშემძინებული განსვენებულის ამის ქრმისაგან ამისავე მზითვის ფულით; ეს ფული თუმცა დიდხანა მიუღია ქერივის სრულღებით, როგორც სჩანს იმის ხელწერილიდგან, მაგრამ სულს ეს ხელწერილი არა ჰქონია მხედველობაში და მოუწვევია მხოლოდ სხვანიც მემკვიდრენი დაბეჭდილის წესით და დაუბლორობია ეს საქმე 184... წელსა ესრედ: ქერივი იცნობებოდეს მემკვიდრეთ და ჩაბარდეს მას მოძრავი და უძრავი ქონება ქრმის დანარჩენი, მისდამი ქონებულის დოკუმენტებით.

რადგანაც თვით სული გარკვევით არა სწერს თავის განაჩენში როგორიღა მემკვიდრეა ხსენებული ქერივი, რა უნდა ჩაბარდეს, რომლის დოკუმენტებით, რა არის ქრმისაგან ნასყიდი და კეთილშემძინებული, რომელიღა მამაპაუელი? ამისთვის 184... წელსა დიანბევი სწერს თანხმად სულის განაჩენისა მფლობელობის ფურცელს იმ დოკუმენტების და მეფეების წყალობა ოქმების საფუძველზედ, რაიცა უჩვენებია იმას, ქერივის, ასე რომ უკეთუ ამ დოკუმენტებს, მეფეების წყალობა ოქმებს და ქერივის არხას, რომლითაც უთხოვნია მემკვიდრება თავის მზითვით ნასყიდზედ, ერთათ წაიციოთხავთ, მაშინ გამოჩნდება, რომ ვითომც ამ ქერივის უცხოვრია რამდენიმე საუკუნე და ყოველ საუკუნეში, ვითომც ამის მზითვის ფულით არის შეძინებული საღამამაპაუელი მამულები. ამ საქმის წარმოებაში კვლად გამოჩენილან სხვანიცა ბევრნი მემკვიდრენი და მამაპაუენი. მაგალითათ ნათქვამია, ოხერს ოჯახს ეშმაკები დაეპატონებიათ.“ ზოგს უთქვამს მე ვარ ნეტარად გარდაცვალბულის ბებიდა შეილიშვილი, მე ხანულის მულის წული ვარ, და ზოგი იძახის მე ვარ კანონიერი მემკვიდრე და მახლობელი ნათესავი ერთგვარი, დასამტკიცებლათ ამისა აი გვაროვნობის შტოც. აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა აბ და ძმანი მისნი ბარემოება ამ საქმისა როგორი ნათესაობა და ერთგვაროვნობა, თუმცა ბევრთაც იცან დაქმმარტებით ჩვენში, მაგრამ ვის რა საქმე აქვს სთქვას სიმართლე, როდესაც არა ჰვითხვენ. მს ორნი ამოა მემკვიდრენი ხედვენ რა წინათ ამ საქმეს, რომელსაც მიუცილებელია უმაღლეს სასამართლო ოდესმე განიხილავს საფუძელიანად, მორიგდებიან ერთმანეთში დამტკიცებულის 184... წელსა წერილით და მოსპობენ საქმეს მემკვიდრეობაზე სულში, ამ მორიგების წერილით ქერივი გარდასცემს თავის მემკვიდრეობას? მსე იგი ქრმისა და მზღლის დანარჩენს მამაპაუელს დოკუმენტებით და ეს მეორე პირი ამ მორიგების წერილის ძალით დაიწყებს დავას და დიდის ცდითა შედის მფლობელობაში წერილით და არა საქმით, შემდგომად ეს საქმე რომლისამე მიზეზისაგამო მართლად გამოურკვევია წმინდათ უმაღლეს სასამართლოს 184... წელსა და თვითოველად გარდაუწყვეტია ასე: რადგანაც ქერივმან ერთხელ მიიღო მზღლისაგან ფულად მზითევი და ხვედრი მონაწილეობა თავის ქრმის დანარჩენის მოძრავიდა და უძრავიდა კანონისამებრ და აღვიარა დამტკიცებულის 183... წელსა ხელწერილით, რომ

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამოცემა 1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წლებში იცემოდა.

მს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძობას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტადანათ დრტინადა: თუ გამოერეოდა იმერული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლელებს ეჩოთირებოდათ და თუ ქართლელი ლექსთა-თხზვა იყო, ეს იმერლებს ეჩოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. როდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადოების დრტინვას მხოლოდ დრო განაქარვებს. „დროების“ ნაკლულევენება ეს კი არა, უფრო სხვა იყო. ის ვერ აქცედა ჯეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრავალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებს; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი, აი რა იყო უმთავრესი ნაკლულევენება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განძავლობაში ბატონ-ყობითი დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ, და სამსჯავრო ცელილებაც, ეს არის, კარზე მოგვდგომია და კარგი სამართლის შემოტანით უნდა დაგვირგინოს ბატონ-ყობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში მთავრობამ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფლო შკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრესს ცელილებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნენ. შოველს იმათგან თავისი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში. ქველა ეს დილა და მომცრო ცელილებები აღრე თუ გვიან სრულად შესცვლიან ჩვენის ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამისთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. მაზეთიც რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლინების რიგიანათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე. ამ მოვალეობის ერცლად ასრულება ჩვენ გაზეთს ჯერ კიდევ არ შეუძლიან, მაგრამ რედაქცია მანც, შეძლებისა მებრ, ეცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოვეუცხადოთ „დროების“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამსჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი სამსაჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოსაწერი ფასი:

მაგზავნით ტფილისში	გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კ. 2 —

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: ВЪ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

სემი 3 ნომბერს დაიწყო. რაც აქამომდე დეპუტატები ამოურჩევიათ, უმეტესი ნაწილი სულ კონსტიტუციონერები არიან.

პეტერბურგი, 2 ნომბერს. ხელმწიფე იმპერატორი 1-ის ნომბერს მობრძანდა საარსკი-სელოში. მის იმპერატორების დიდებულებას ხელმწიფე იმპერატორი უფაზე მიეგება. მლინელების კაროლი და კაროლევა მენი-დგან 3 ნომბერს გაელენ.— შრანსუხულს მთავრობის გაზეთში „მონიტორში“ კმაყოფილებას აცხადებენ იმაზე, რომ იტალიის ჯარი გავიდა პაპის მახრიდგან, აგრეთვე შრანსციის საეკსპედიციო კორპუსიც იმავანს გამოვა, როგორც კი წესიერება დამკვიდრდება პაპის სამფლობელოში. იტალიის მინისტრმა მენაბრემ გაუზავა შრანსციის იმპერატორის კარზე მყოფს იტალიის ელჩს, ნოტა, რომელმაც ის უთვლის, რომ დაუყონებლათ დაბოლოვონ რომის საქმე. უკანასკნელმა ამბავმა ცხადთ დაამტკიცა სექტემბრის კონვენციის გამოდგობა. იტალია საგსეა ღრმა-რელიგიოზის გრძობითა, მაგრამ სასულიერო და სახორციელო უფლების ყოფნა პაპის ხელში არ მოსწონს, რადგან იმის გამო ხშირად აღიძვრის ხოლმე შინაური დაბრკოლება. პაპის სახორციელო უფლება მუდამ პოლიტიკურის გულის თქმისა და ცივილ-ზაციის გაველნის ქვეშ იმყოფება. პეტრე მოციქულის სამკვიდრებელი ადგილი პაპისთვის ყოველად უშიშარი ადგილსამყოფია— სერბიის გაზეთი „სეცტოვიდი“ სწერს, რომ მსმალეთსა და სერბიას შუა აჭურვილი მშვიდობიანობა აესებობსო. იყო მსმალეთმა არ ასარულა სამართლიანი თხოვნა სერბიისა, მაშინ იმას შეემთხვევა საუბედურო საქმე, რომელშიაც სერბია— მოთავეთ გახდება.

გვაში. ის ყოველს ღონის ძიებას ხმარობდა, რომ მონაობა არ გაერცლებულ იყო; მაგრამ ისე ფრთხილათ მოქმედებდა, რომ საქმე არ წახდინა. ილინოისის სჯულის დამდები კრება იმისთვის მაინც ძალიან ვიწრო ასპარეზი შეიქნა. ლინკოლნს უნდოდა უფრო ვრცელს ასპარეზზე ემოქმედნა, რომ თავის საქმისთვის რამე გაერცებინა. ილინოისის შტატში იმდენათ გაითქვა სახელი, რომ 1846 წელს ამ შტატის წარმომადგენელთა არჩივს მაშინვე ტრანის კონგრესში. აქ ორის წლის განმავლობაში ლინკოლნი ეწინააღმდეგებოდა მონაობის არსებობას ისე ზომიერათ, რამდენათაც სჯული ნებას აძლევდა. ამის გამო ბევრს კიდევ არა სწამდა, რომ ის მართლაც ნამდვილი მტერი ყოფილიყო მონაობისა; იმათ ეგონათ, რომ ლინკოლნი პირმოთნობსო. ზოგი რომ ძალიან ცხარობდა, ეს იმას არ მოსწონდა და თვითონ აუჩქარებლად მოქმედებდა რადგან მხედველობაში ჰქონდა, რომ სჯულის თანხმად ემოქმედნა და იმის ძლიერს სამშობლოს არა ენებოდა რა. ზოგჯერ ასეთი ფიცი წინააღმდეგობა ასტყდებოდა ხოლმე მონაობის მომხრე პარტიასა და იმის მოწინააღმდეგებს შუა, რომ საფიქრალი იყო, შინაგანი ომი არ დაწყებულიყო. აი რისა ეშინოდა ლინკოლნსა და რის გამოც თავის თავს ნებას არ აძლევდა მტრის თქმისა კონგრესში. 1849 წლიდან 1854 წლამდის ლინკოლნი თავის შეილების ზრდას შეუდგა და პოლიტიკურს ასპარეზზე მოქმედებას თავს არიდებდა.

როგორც წინეთა ესტყვიან ამ ასპარეზზე ის გამოვიდა 1836 წელს და, რაც თავის თავით არ შეეძინა, თუმცა იმის მეტი იურიდიკული სწავლა არა მიეღო რა, მაგრამ ილინოისის შტატში ადვოკატობით სახელი მაინც მალე გაითქვა. რამაგისთანა დახლოებული და მიხევეულ-მოხვეული საქმე ყოფილიყო, ის გასაშტერებლად ნათლად გამოიკვლევდა მართალსა, და ვის მხარესაც კი დაიჭერდა, იმას მიუცილებლად საქმეს მოაგებინებდა, ამისთვის რომ ძალიან რამტიკებით იცოდა ლაპარაკი და სიტყვიერებით ყველას თავის მხარეზე გადაიყვანდა.

ლინკოლმა განსაკუთრებით ერთს პროცესში გამოიჩინა თავისი ნიჭი. ამ საქმეში იმან დაიცვა მართალი გვაში და მიაგო კეთილი იმოჯახს, რომელმაც მისცა თავსესაფარი ყმაწვილობაში ლინკოლნსა, როდესაც ამან დაუტევა თავისი მამის სახლი და ეძებდა მუშაობასა. იმაზე რომ მზრუნველობა მიეღო, ის მოახუცებული კაცი აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ იმას დარჩა უფროსი შვილი, რომელსაც შესწავის კაცისკლა. შევლა დაჯერებული იყო არმსტრონგის შვილს კაცი მოეკლა. ეს აი როგორ მოხდა. მართლაც ყრილობა იყო და იქ ორს ყმაწვილს კაცს ლაპარაკი მოუვიდათ; ერთმა მეორე მოჰკლა. ადგილობრივი მცხოვრებლები ხერხიანი დაწამებით ჩაგონებულნი იყვნენ და ბევრს იმისთანა ცუდს ამბობდნენ ახალ გავდა არმსტრონგზე, რომ ყველას დანაშაული ეგონა. მართლაც ეს ყმაწვილი ძალიან მჩატე ყოფაქცევისა იყო. ხალხი იმდენათ გაჯერებული იყო ამ ყმაწვილზე, რომ იმის დაგლეჯას აპირებდა; მაგრამ, ყმაწვილი დაატუსაღეს და იმითი იხსნეს მოკვლისაგან. ამ უბედურს ყმაწვილს-კაცს შევილის იმედი დაეკარგა; ყველას ეგონა, რომ სიკვდილისგან თავს ეფრ იხსნისო. ამ დროს ლინკოლნმა მისწერა წიგნი იმის დედას და დაპირდა, ყველა ღონისძიებას ეის მარტე ყმაწვილი ეხსნათ, თურომ ამ საქმეში მტყუნარი არ არისო. როდესაც დარწმუნდა არმსტრონგის სიმათლევზე, მაშინ იმან მოითხოვა იმისი საქმე სხვა სამჯავრო მარაში გადაეტანათ, რომ მსაჯულები არ ყოფილიყვნენ გაჯერებულის ხალხის გავლენის ქვეშა. ყმაწვილის დასაცველად ლინკოლნმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაამტკიცა, რომ თუმცა არმსტრონგი შეუპოვარი ხასი-

ათისა იყო, მაგრამ არა ვითარი ბოროტება კი არ ჩაუდენიაო. მერმეთ დაამტკიცა, რომ არმსტრონგსა და იმ კაცს, რომელიც მოკვლას სწამებს, ერთმანეთში უკმაყოფილება ჰქონდათო. როდესაც განიხილა დრო და ადგილი, სადაც კაცი მოეკლათ, ნათლად გამოიყვანა იმ მოწამის სიმტყუნე. ეს მოწამე ამტკიცებდა: თვითონ ჩემის თვლით ეხედავდი, როდესაც ამა-და-ამ დროს არმსტრონგმა მთვარიან ღამეში დაჭრა მახელი და კაცი მოკლაო. ლინკოლნმა ნათლად დაუმტკიცა, რომ იმდროს მთვარე არ იქნებოდა ამოსულიო. ადვოკატმა თავისი სიტყვით სრულებით მიიმხრო მაყურებელნი. მაშინ ლინკოლნმა ასეთი სიტყვებით დაუწყო გაკიცხვა მატყუარს მოწამესა, რომ იმას ნაცრის ფერი დაედო და ზალიდგან გაიპარა. ლინკოლნმა ყოველი ძალა თავის მტერმეტყველებისა მოახმარა ნათელი კაცების დასაჯერებლათ, დაუმტკიცა თუ რამდენათ მანებელი არისო უბრალო კაცის დასჯა, მოაგონა იმათ საკუთარი შეილები და, როდესაც მზე ეწურებოდა ჩასასველათ, იმან წამოიძახა: „მინამ მზე ჩაილოდეს, იმისმა სხივებმა ერთი თავისუფალი კაცის სახე კიდევ უნდა განათოსო“. მართლაც ნათეცებმა ყმაწვილი კაცი გაამართლეს და ლინკოლნს შეეძლო არმსტრონგისა და იმის დედისათვის ეთქვა: „ჯერ მზე არ ჩასულა, და შენკი თავისუფალი გახდი“.

ადვოკატის თანამდებობაში ლინკოლნი თან-და-თან წინ მიდიოდა, ასე რომ იმან თავისი საქმე კარგათ გამოაწყო და მუდამ სპრიგვილში დაესახლა. ეს ქალაქის ილინოისის შტატის დედა ქალაქი იყო, ლინკოლნმა აქ კარგი ხანი გაატარა მინამ ისევე პოლიტიკურს ასპარეზზე არ გამოვიდა მოქმედებისთვის. 1849 წლიდან 1854 წლამდის უწინდელი შეშის მტრელი ადვოკატთა იყო, მერე კი პოლიტიკურის მოქმედებისთვის სიკვდილამდის თავი აღარ დაუნებებია.

1849 წელს მონების მფლობელმა პარტიამ დიდი ამბავი დააწია იმისგამო, რომ ძალიფორნია კავშირში შტატათ მიიღეს. ამ ჟამამდის 15 შტატი თავისუფალი იყო და 15 მონების მფლობელი. ძალიფორნია ან ერთს პარტიას უნდა მიდგომოდა, ან შეორესა. საქმე იმდენზე მივიდა, რომ კინაღამ კავშირი არ დაარღვიეს, მაგრამ ზოლოს ორთავე პარტიამ ერთმანეთს დაუთმეს და ამითი საქმე დაშოშმანდა. უფრო დიდი სარგებლობა კი მონების მფლობელებს დარჩათ. როგორც თავისუფალი შტატი, ძალიფორნია ისე შეირაცხა კავშირში; მერე გაუქმდა ძველიდგან ჩრდილოეთით გაგლილი საზღვარი მონაობისა და მონების მფლობელთ პარტიის მეცადინეობით დაიდო იმისთანა კანონი, რომელიც ჰკიცხავდა იმას, ვინც რასმე დასწერდა მონაობის გაუქმების წინააღმდეგ.

ამ გვართ რომ გაძლიერდა მონების მფლობელი პარტია, მაშინ თავისუფლების მოყვარე პარტიამ გადაწყვეტილებით დაიწყო მოქმედება. ლინკოლნიც იმათში ერია; მაგრამ ის კონსტიტუციის წინააღმდეგ მაინც არ მოქმედებდა. ლინკოლნმა ბევრჯელ უარისთქვა საპატიო ადგილზე, უფრო იმისთვის რომ უნდოდა იმის პარტიას გამარჯვება, რადგან გამოჩინილს ალაგზე თავისი დანიშნით იცოდა, რომ თავისუფლების მოყვარე პარტიაში განხეთქილება ჩამოგარდებოდა და ამითი შესუსტდებოდა. ამრიგათ ის 1854 წელს ტრუმბოლთან ერთათ სენატორობაზე ლინკოლნიც კანდიდატთა დანიშნეს. პარტიის გასაძლიერებლათ იმან ჩაუდგო თეთრი ტრუმბოლსა და მომხრეებსაც ურჩია, ასე მოქცეულიყვნენ. ამას შემდეგ იმან კიდევ უარი სთქვა ილინოისში გუბერნატორობაზე, იმ განხრახებით, რომ პოლიტიკური მტრები არ გაეძლიერებინა. ბოლოს, 1856 წელს, მერესაშუალოც პარტიას ჰსურდა, რომ ლინკოლნი ახალს ამორჩევაში ვიცე-პრეზიდენტთა გაესახნა, მაგ-

რამ იმან ესეც თავზე გადაიცილა და თვითონ ურჩია მოლიბერალე პარტიის კანდიდატი შრემონტი ამოერჩიათ. 1858 წელს, მთელს დიდს ამერიკის კავშირში ვისაც კი ნეგრების განთავისუფლება ჰსურდა, ყველამ ლინკოლნს მიაკცია ყურადღება, როდესაც იმას და მონაობის მომხრეს ლეგლას ბრძოლა მოუნდა სენატორებას ადგილზე კონგრესში. მორივე მოპირდაპირება იწყეს მგზავრობა მთელს ილინოისის შტატში, ეუბნებოდნენ სიტყვებს მთელს ხალხს და ნათლად ხატავდნენ, თუ ვინ რა აზრისა იყო ნეგრების განთავისუფლების შესახებ. ზოგჯერ სიტყვით შეიბმებოდნენ თემის წინაშე და ამისთანა შემთხვევებში ლინკოლნი ყოველთვის დასძლევდა ხოლმე. როდესაც კენჭი ჩამოატარეს, უფრო ბევრი ხმა ლინკოლნს ერგო, მაგრამ ეს ხმები მხარეში ისე განაწილდა, რომ სენატორათ მაინც ლეგლასი ღარჩა. ლინკოლნის ამ ბრძოლას იმათ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ იმისგან წარმოთქმული სიტყვები ყველამ წაიკითხა და ყველამ იგრძნო, რომ ნეგრების განთავისუფლებაში ლინკოლნისთანა მოთავე კაცს ვერავის ვიშოვნითო. ამისგამო 1860 წელს ის გამოიყვანეს კანდიდატთა პრეზიდენტობაზე. იმისმა მომხრეებმა ხალხს მოაგონეს, რომ ლინკოლნი ოდესმე შეშის მტრელათ იყო: მოიტანეს ორი საჩი მოართული ყვავილებითა, ამ საჩივზე იყო ზეწარწერილი, რომ ეს ორი საჩი იმ სამი ათასს სართავანიაო რომელიც ლინკოლნს თავის ხელით გაუთლიაო. ამით მთელი ხალხი აღტაცებაში შევიდა და მართლაც მთელს მოლიბერალე პარტიას ლინკოლნის მეტი სხვა აღარავინ გამოუყვანია კანდიდატთა. სამხრეთის შტატებმა კარგათ იცოდნენ, თუ რა დიდი ძალა ჰქონდა ლინკოლნსა: რამდენათაც მონაობა სძულდა, იმდენათ სჯულიერი გმით და ზომიერებით უყვარდა მოქმედება; ყველა მოწინააღმდეგე კარგათ გრძობდა, რომ ზემოხსენებულისთვის პატრონი პრეზიდენტი თავის განხრახვას ხერხიანათ ასრულებდა. სამხრეთის შტატებმა მაშინვე ითქვრეს კავშირის დარღვევა და ამისგამო ასტყდა მწარე შინაური ომიანობა. რომელიც ოთხს წელიწადზე აღრე არ შეწყვეტილა. ამ ომიანობამ იმით მოიტანა კეთილი ნაყოფი, რომ პირუთნეველად მტკიცემ და გულ-ახლით თავისუფლების მოყვარე ლინკოლნმა ისარგებლა მონაობის მოყვარე პარტიისგან სჯულის დარღვევითა და შეუდგა მონაობის გაუქმებას მთელის შეერთებულის შტატების სიერცხვე.

ლინკოლნს არ უნდოდა, რომ შინაური ომი გამართულიყო და როგორც კი პრეზიდენტთა ამორჩივს, მაშინვე გამოაცხადა, რომ რაც ამ ჟამამდე დაწესებულია მომხდარა, არც ერთს არ შეეცვებო: იმას იმედი ჰქონდა, რომ მშვიდობიანათ, მაგრამ გულ მაგარი მოქმედებით დათმობინებდა სამხრეთლებსა. რადგან თავის თავს რაცხავდა ხალხის ნების ამსრულებელ გემაზე, ამისთვის თავის მხრით ძალდატანებით მოქმედებდა იმას სჯულის წინააღმდეგათ მიანდა. სამხრეთლებმა თავიდანვე სიძულილი გამოუტყდადეს ლინკოლნს და ხალხში კიდევ გაეარდა ხმა, რომ პრეზიდენტს მოკვლას ჰპირდებიათ.

შინაურს ომიანობაზე ლაპარაკი აქ აღარ არი საქირო, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ რაც ხანი ომიანობამ დაჰყო, ლინკოლნს თუმცა ჩრდილოეთელ შტატების საქმეზე ჰქონდა თავისი სიცოცხლე გადადებული, მაგრამ ის სულიერად მაშინაც არ შერყეულა, როდესაც ჩრდილოეთლების ჯარმა წააგო, ლინკოლნმა დიდს ხნიდგან ამოიღო გულში ნეგრების განთავისუფლება და თუმცა არა ჩქარობდა, მაგრამ გულ-მაგარი მოქმედებით როგორც თვითონ ჰსურდა, ისე აბოლოვებდა, ამ საქმეს. როდესაც შინაურს ომიანობაში გამარჯვება, იმან გამოიჩინა შესანიშნავი ზომიერება. ძლიერების იმის მეტი არა მოსთხოვა-

შენაზნა და ახიანება.

სამაღისი დგან. (შემდეგი)

ლინკოლნი შრომით აფასებდა კაცს; იმის აზრით კაცს მომეტებული სიმდიდრე არ უნდა ჰქონდესო და არც კეთილ-მდგომარეობის ღირსი უნდა იყოსო, თუ რომ ეს მომეტებული ღონის ძიება საკუთარი შრომით არა აქვს მოპოვებული. რასაკვირველია, ლინკოლნი გულდამშვიდებით ვერ დაუწყებდა ცქერას იმისთანა დაწყობილებას, სადაც კაცის შრომა თავისუფლების მოსაპოვებლათ კი არ იყო გამხდარი, არამედ იმით სარგებლობდნენ იმისთანა კაცები, რომლებიც თვითონ არა შრომობდნენ. ამისთანა აზრი ლინკოლნისა ცხადთ გვიჩვენებს, თუ როგორი თვალით უნდა დაეწყო ქვერცხა მონაობისათვის, რომელიც იმას მიანდა დიდ უბედურებათ ამერიკის რესპუბლიკისათვის. იმან მით უფრო შეიმძულა ეს შინაური საძაგელი დაწესებულება, რომ როდესაც ბარქასით მგზავრობდა თავის სამშობლო ქვეყანაში, თვითონ გამოსცადა, თუ რამდენი უბედურება მოჰქონდა მონაობას ხალხის ცხოვრებაში. იმას ბევრჯელ გული არევიდა, როდესაც თვლით უნახავს მებატონების სიმტარვალე ცოცხლის მშრომელის კაცებისადმი, რომლებსაც, როგორც უსულო ნიეთს, ისე ჰყიდდნენ და ცუდათ ეპყრობოდნენ.

ამ სახით მოიკლა ლინკოლნმა პოლიტიკური შეხედულება იმ დროის უმთავრესს საქმეებზე; იმან მტკიცეთ შეითვისა ეს შეხედულება, და ჯერ კიდევ ადვოკატი არ იყო, რომ ის, 1834 წლის გასულს, ილინოისის სჯულის დამდებს კრებაში წევრათ ამორჩივს. ამ ახალს თანამდებობაში ამან გამოიჩინა დიდი საორატორი ნიჭი და შეიქნა იმ პარტიის თავი, რომელსაც არ უნდოდა, რომ მონაობა ყოფილიყო. 1838 და 1840 წელს ის კიდევ ამორჩივს წევრათ; ლინკოლნი მას აქეთ შეიქნა მთელის პარტიის მოთავეთ და იყო მთელს შტატში ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკური

რა, რომ ისინი ყოფილიყვნენ კავშირის ერთ-გულნი და მონაობა გაუქმებინათ. ბევრჯერ დაპირდნენ სიკედილსა, მაგრამ ის არაოდეს არ აჩენდა თავის მტრების სიძულვილს და დაუღლეოდ მოქმედებდა წინათ — მოსაზრებულის საქმისათვის.

საუბედუროთ მტრებმა თავისი მუქარა გაამართლეს. როდესაც მილიონი ნეგრის განმათავისუფლებელი აპირებდა დარდევლის კავშირის ისევ შემტკიცებასა, ამ დროს საძაგელმა კაცმა, სახელად ზუსმა, დასტურა მძიმეთ ლინკოლნი. მს ამბავი მოხდა 1861 წელს 14 აპრილსა.

იმ დამეს მაშინგტონის მცხოვრებლებს არ ეძინათ, წამის-წამს ხალხის გროვა მიდიოდა იმ სახლოთან, საცა დაჭრილი იმყოფებოდა და გულ-აღვლევებული ტყობულობა პატიოსანის გვამის მდგომარეობასა.

მეორე დღეს ლინკოლნი მიიცივლა. მთელი შეერთებული შტატების კავშირი, ესე იგი ყველა ქვეშაირი მოქალაქე ამ დიდის ქვეყნისა ჩავარდა ღრმა მწუხარებაში. ლინკოლნის სიკედილი მართა ამერიკელებისთვის არა ყოფილა დასაკლისი, არამედ ის იყო მთელის ქვეყნის დასაკლისი, რადგან ქვეყანამ დაპირება საუკეთესო გვათავაზი, რომელნიც კი ოდესმე მასში ცხოვრებულან. შოველთვის მარტავი და ალერსიანი, გაუცხადებ პატიოსანი, როგორც სახლში, ისე საზოგადო ცხოვრებაში, მიუფერებლად ამსრულებელი სჯულისა, ენერგიული მქადაგებელი თავისუფლების დამყარებლის ომიანობისა, მოუღალავე მშრომელი შინაურს ცხოვრებაში ლინკოლნი, თუმცა განსაკუთრებით დიდი ნიჭის კაცი არა ყოფილა, მაგრამ იმას ჰქონდა ერთი თვისება, რომელიც იყო გვირგვინი ყოველის გვარის ნიჭიერებისა: ეს მდგომარეობა იმაში, რომ ლინკოლნი ყოველთვის ენერგიულად და ერთგულდ ასრულებდა თავის მოვალეობას ხალხისადმი, სახელმწიფოსადმი და კერძო პირისადმი. ამ თვისებისგანაო თავდაბალი ლინკოლნი მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მოქმედი გვათავაზი შეიქნა, პატივცემული სახელი „მობუტის აბრაამისა“ სამაგალითოდ დარჩება აწ-მყოფის და მომავლის შთამომავლობისთვის.

წარსული და მიმავლი ინგილოების ცნობა.

მაშინ არ არის კაცისათვის ცხოვრება საქმარა, ნერწყვი უშრება ყელში, მუხლთ მკვეთება და ზნეობითად გონება ეხდება, როდესაც მას არ უსრულდება ის, რაც მას ცეცხლის მოდებით ჰსურს აღსრულდეს. ამ გვარი წარუმატებლობა სუსტის ხასიათის და უსაფუძვლო განათლების მიმდების კაცების გულში ღრმა ზნეობითად დაცემის კვალს განავლებს ხოლომე, და ამისა გამო სასოწარკვეთილი ხელს იღებენ თავიანთ წინანდელს საყვარელს საგანზე და გაქელილი შტვენით დაიარებიან აქა-იქ. ამ შემთხვევაში იმათზე იტყვიან ხოლომე, ფრთები ჩამოუშვესო. მაგარი ხასიათის კაცებს კი წარუმატებლობა ვერაოდეს ვერ შეაშფოთებს ხოლომე. იმათ მაინც უყვართ თავისი საგანი, ცეცხლის მოდებით ელტვიან, დაეძებენ მარჯვე დროს, რომ თავიანთი განზრახვა აღსრულონ. ზინდ განსაცდელში ჩავარდეს, დაბრკოლებები დახედეს წინ, მაინც თავის განზრახვაზე ხელს არ იღებს, და არა საშუალებას თავის მხრით არა ზოგავს მისთვის. ამ გვარნი კაცნი, რასაკვირველია, ძლიერ სასარგებლონი არიან ყოველ საქმისათვის. ამათ უწოდებენ საფუძვლიანთ განათლებულ და მაგარ ხასიათის კაცებს (стойками).

ნამდვილია, რომ მაგარი ხასიათის კაცები სჯობიან სუსტი ხასიათის კაცებს, რადგან პირველს შეუძლიან, რაც გინდ დამაბრკოლებ-

ლი მიზნებზე დახედეს წინ, თავისი განზრახვა მაინც და მაინც დააგვირგვინოს. მეორეს კი, პირველს უბედურ შემთხვევაშივე, ფრთები შემოაკვეცება ხოლომე და ეშლება ყოველი კეთილი განზრახულება. ჩვენდა საუბედუროთ პირველები ჩვენ გვაკლიან, მეორენი კი ღვთის მადლით ბევრნი გვეყვანან.

მე ეს ყველაფერი იმაზედა ვსთქვი, რომ ზემოთ ერთ აზრის და მიმართულების კაცები მე მეთუბნებიან, რომ წინათ შკოლაში ფრთები ძლიერ გაშლილი მქონდა და ეწერდი სტატიებს, ესლა კი ფრთები შემომაკვეცა და არასა ეწერ. მაგრამ ის კი არ იციან, რომ მე, ხანდის ხან დაუძღვრებული გული ავათმყოფობით, არ მომდევს ჩემი საკუთარი ხელით დაეწყებული გული ჩემი. ბარაქლა იმ კაცს, რომელიც გრძობს გულის სიღრმეში „მათუსალას“ მდგომარეობას. თუმცა ამ ჟამთ გული ჩემი პირმცინარათ არის, რადგან ხედვს ზოგიერთ მოძმეთა ნელა-ნელა ფეხზე წამოდგომას, მაგრამ უმეტეს ნაწილს ჩემ ერთ მემამულეებისას ისე ღრმა ძლითა სძინაეთ, რომ ყოველი შავი აზრები და ფიქრები მე გულზე მეხვევიან. მართლაც აბა რა სარგებლობა გამოვა იქიდან, რომ ათასში ერთი მოქმედებდეს, ფიქრობდეს, ეძებდეს სახსრებს ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრება გააუმჯობესოს, ენისა და თავის და ლიტერატურის გავრცელებას ცდილობდეს, სხვანი ხმას არ იღებდნენ, და უზრუნველათ ატარებდეს დროსა. აი რას ამბობს ანდრეა? ისა, რომ „ერთი კაცი სოფელს ვერ ააშენებს, სოფელი კი ერთ კაცს კიდევ ააშენებს და კიდევ დააქცევს.“ ხედავ ქართველო, შენივე ანდაზა ამტკიცებს, რომ ერთი კაცის ხელით გაკეთებული საქმე თავს არ მოევა; მაშასადამე ჯერ დრო არ არის ჩემის შევებისა, რადგან ათი ჰსწერს, ასა სძინავს, ათასი კიდევ მაშინაღიანდება. ახ! როდის განიღვიძებენ და იგრძნობენ ინგილოები თავის მიტყვევსა და ქართველობის დაკარგვას. ახ! როდის გაიღვიძებ იმათი ჰკუა და ფიქრობას დაიწყებს, — იცნობს თავის თემს და შეურიგდება იმას, და მასთან ერთად იწყებს თავის ლიტერატურის გამდიდრებას; იცნობენ ამათ აგრეთვე ქართველებიცა.

მე შემიტყვია სწავლულ საქართველოს შეილთავან, რომ 1851 წლამდე იმათ სრულებით არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ინგილოები. თუ ჩვენმა სწავლულებმა არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ინგილოები, რომელ ტომს ეკუთვნოდნენ, მაშ სიხანს უსწავლედებს ეხლაც სრულებით არ ეცოდინებთ იმათი ეინობა. მაშასადამე რომელს ტომს ეკუთვნიან ინგილოები, რა ხანია რაც ისინი გამაშინდებულან, რა გვარი ცხოვრება ჰქონათ და აქეთ, ამების შეტყობა ძლიერ სასურველი იქნება ქართველ საზოგადოებისათვის, უფრო ამისათვის, რომ ეს ხალხი ჯერ მოინათლა 1850 წელიწადში და მერე ისევ მიიქცა. მე ამ ხელათ ამაზე მომივიდა აზრი, მკითხველო, დავწერო, და აი, რამოდენათაც შევიძლებ, ისე წარმოვიდგენ მოკლედ აღწერილს წარსულს და მიმავალს ინგილოების ყოფაცხოვრებაზე სტატიას. მართალია „ღრუბამ“ სამი სტატია დაბეჭდა ინგილოებზე, და ამათ, თუმცა ჰქონდათ სხვა და სხვა ხასიათი, მაინც კიდევ ვერ წარმოსთქვეს ყველაფერი.

ინგილოები ცხოვრობენ ზაქათალის მაზრაში. მს მაზრა ყოფილა უწინ ნაწილი ძაბეთისა და ჰკუთვნებია ძაბეთის სამეფოს 1587 წლამდე. მდებარებს ალაზნის მარცხენა მხარეს, არის ვაკე და ძლიერი ტყიანი, და ამისა გამო უზღო წყლითა; ამასთანავე დაუჯერებლათ ნაყოფიერი. მდინარეებს თავისი სათავეები აქეთ მდლა ძავეკასის მთებში, რისა გამო ისინი მომდინარეობენ ძლიერ ჩქარა, მოაგარებენ კაცის ოდენა რაზა რუხით ქეებს, და, რაც წინ დახედებთ ყველაფერს ამსხვრე-

ენ; ზოგი ერთი იმათგანი ისე აღიდგება, რომ კაცი შიგ ვერაოდეს ვერ გაეა. მაგ. შურმუხმა, კახის წყალში, 1857 წელს, მთელი სოფელი ალიბეგლო წაახდინა, მამულები სულ დატოვა და სახლები ქვით ააგო, რისა გამო სოფელი აიყრა იმ ალაგიდან და სხვაგან მოაშენა. შესანიშნავი მდინარეების სახელები ესენი არიან: შურმუხი, შაფი-ჩაი, (1) (2). მიზინჩაი და სხვ. პატარა-პატარა მდინარენი ბევრნი არიან და იმათ ჩვენ არ ვიხსენებთ. ტყეებში ხეები არიან მალაღნი. ამათში ბევრია გარეულინი ვაზები, რომელნიც ბევრს იხსამენ. ამ ყურძენს ინგილოები „ბურძღებს“ ეძახიან, რომელსაც ქართულათ „კრიკიან“ ჰქვიან. სახელი თუმცა „ბურძღემია“, მაგრამ ყველას თითქმის ისეთი მსხვილი მარცვლები აქეთ, რომ თითქმის შინაურს ყურძენში ვერ გამოარჩიეთ. მართა ეს ფაქტი ვგონებ საქაო არის იმის დასამტკიცებლათ, რომ ზაქათალის მაზრაში ძლიერ კარგი მსხმოიარე ვენახები გაკეთდება. მარდა ამისა აქ ურსტყეებში იპოვებიან თითქმის მრავალ ნაირი. ნადირი მავალითებრ არიან: ირემი, გარეული ღორი შველი, ყაფლანი, მაშაყი, ქათარი, და შავი მელა. შრინველთაგან: ხოხობი, კაკაბი და სხვ. (3) მს ყოველი ფერი ამ მაზრას ისეთს სიმშვენიერეს აძლევს, რომ სასიამოვნოა მისთვის თვალის გადაღლება. ტყეები ალაგ-ალაგ ისეთ მშვენიერათ არიან შებურულნი და შიგა და შიგ ისეთი წყლიანი მინდვრებია, როგორიც იყო გერმანი-აში, როდესაც იქ მივიდნენ პირველათ გერმანიელები. იქნება ჩვენ საქართველოში არსად იყოს ამ გვარი მშვენიერი ნაყოფიერი ალაგები.

ზაქათალის მაზრას ჰქვიან მრავალი სახელები. აი სხვათა შორის ისინი: ტუნეთი, ძაბეთი, შურჯისტანი და მლისენი. მს სახელები, ჩემის აზრით, იმას ამხილებენ რომ მაზრას ბევრი მწუხარება გამოუვლია, ყოფილა საგანი ნიადაგის ჩხუბისა, და ხან ერთ ხალხს სჭერია, ხან მეორეს, და ამ გვართ მოუხწყვია აქამდე. ზაქათალის „ღრუბების“ რედაქცია 1866 წლის 43 № წინაურს სტატიაში ამბობს, სტრაბონის სიტყვით, რომ „ზაქათალის მაზრაში ცხოვრება ოცდა ორი ხალხია.“ ამასვე ამტკიცებს აქაური ხალხიცა. ის ამბობს, რომ ამ ქვეყანაში უწინ ბევრი შთამომავლობის ხალხი ცხოვრებდაო და ის განსაკუთრებით არავის ეკუთვნოდაო. ამას ამტკიცებს ისტორიული მისი სახელიცა: „მლისენი“ (4). „მლი“ (სენი გრამატიკის ნაწილია) არის თათრული სიტყვა, და ნიშნავს: მოტანტალეხალსებას. მაშასადამე ელისენი დარქმევია ამისათვის, რომ აქ ელს, რამდენსამე მოტანტალე ხალხებს უცხოვრიათ.

მართლაც როგორც ვაჩვენებთ ისტორია, ჯერ სჭერათ აღბანელებს, მერე ქართვე-

(1) ამ წყალში არის თევზები: კაპუტი, ახალი და ლოქო. მსენი ძლიერ ბევრია.
(2) შაფი: კარი — ჩაი: მდინარე. მს სიტყვები ორივე თათრულია.
(3) ალაზნის არის: წყვიცა, რომელში „ღრუბამში“ იყო აწერილი. ხალხი ამბობს, რომ ყაფიჩაი იმისთვის დაურქმევიათ, რომ შაბაზს ამ წყლის ხილზე კარები შეუბენებიაო და ზედ ყარაული ჰყოლია დაყენებულია, რომ, რა არის, ჰარელი ლეკი ილისოს სასულთანში არ გამოვიდესო. მართლაც ამ ხილზე არის დიდი მიწის ციხე, საგარი.
(4) ამ მოხ ენებულ სტატიაში პატივცემული ავტორი ამბობს, რომ ილისო არის ისტორიული ელისენიო. მაგრამ ეს უცოდინარობისა გამო არის ნათქვამი. სიტყვა ილისო ნიშნავს თბილ წყალსა; და დარქმევია ამ სოფელს ეს სახელი ამისათვის, რომ აქ თბილი წყლები მომდინარეობენ კლდეებით და ამათვე არიან გაკეთებული აბანოები. მართის სიტყვით ეს სახელი ამ სოფელს-დარქმევია იმ მიზეზისა გამო, რა მიზეზითაც ტფილისის ტფილისი სწოდებოდა. თუმცა სოფელი ილისოც დიდი ხნის სოფელი არ არის.

ლებს, შემდეგში მონგოლებს და ენლა უკირათ ჰარელ ლეკებს, ესე იგი უმთავრესი ნაწილი ჰარელია აქ მცხოვრებნი. ჩაქანებში და თითქმის მთლათ მიწები მათ ეკუთვნით, და იღებენ მულაღებისა და ინგილოებისაგან მიწის დლას. პოლიტიკური დამოკიდებულება კიდე ჰქონია ჯერ ჯერობით საქართველოზე, სპარსეთზე, ოსმალეთზე და სხვ. ამ ჟამათ მისი პოლიტიკური მფლობელობა აქეს ხელში რუსეთს.

მოხსენებულ ხალხებში არც ერთს არ დაუტოვებია ისტორიული ნიშნები თავის ცხოვრებისა ზაქათალის მაზრაში, ქართველებს გარდა. მთელი ეს ქვეყანა რომ აუარო და გადმოუარო, აიგდებ და სიგანეზე, თითქმის ყოველს ვერსზე გაუთლელი მტრისაგან დაქცეული ეკლესიები დაგვხდებათ. მსენი არიან მოფენილინი სოფლებში, მინდვრებში და ტყე-ღრებში. მართი სიტყვით, სადაც ეკლესია არ გვეხუდებათ, ის იქ დაგვხდებათ. ზოგი ამოთვანი მთლათ არის შენახული თავის მშვენიერის გუმბათებით, მაგრამ ნახატი არ ეტყობა. შესანიშნავია იმით რომ „ქართლის ცხოვრებაში“, ძახეთის ისტორიაში არის მოხსენებული: „ღვთი მფევე ჰარელს წაეკიდა და ომში მოიკლოა, მერე მოიყვანეს და შუმის ეკლესიაში დაასაფლავესო.“ ამასთანავე არის ნაშენი თლილის ქვისა და ძლიერ დიდა. ლექეთისა არის აგრეთვე ძლიერ დიდი. ამას აქეს მრავალი სენაკები, გარშემოაღლია გალავანი, და, როგორც სიხანს, ყოფილა მონასტერი. ზედ წარწერები არ არის შენახული. ამისი ეზო ასე წმინდა არის, რომ ესიამოვნება ადამიანს მისი ნახვა. ამბობენ, ვითომც აქ ებისკოპოსი მჯდარიყოს მთელი ელისენისა. მესამე ეკლესია, ყიმურ-მაზარისა, შორავს ზაქათალს თორმეტი ვერსით. არის ალაზნის პირათ, სოფლის მულალოს პირდაპირ, და არის ნაშენი, ვგონებ, ლეონ მეფის დროს. ლეონ მეფობდა მე XVI საუკუნეში და ამ საუკუნის გასულსვე, ვეჭობ, აქ არის შეწყვეტილი ლეონის მსახურებაცა. ამ ეკლესიის კედლებზე ეხლაც ცოტათი ეტყობა პეტრე და პავლე მოციქულის ხატები, რომლებიც თავს შემოადამც ძლიერს ეტყობა ნაწერი: „პეტრე და პავლე“. მაგრამ ბრძიყს ხელს ხანჯლის წვერით ნახატი ჩამოუყრევინებია და ხატებისათვის თვალები დაუთხრია. ამ ეკლესიის ათ საყრდენე მოშორებით ალიაბადელს, ხენის დროს, გუთონის ბარსაკეთისათვის ზარი ამოეყვალებინა. ის არის კარგათ მოხდილი და მიწას სრულებით ვერ წაუხდენია. ზედწარწერილიც კარგათ ეტყობა. მს აცხადებს, რომ ის ლეონ მეფისაგან არის შეწერილი. ზარი ამ ჟამათ იმყოფება ტფილისში. ძავეკასში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში. მს მე ენახე 1865 წელს, როდესაც კურს ვასრულებდი.

მს ფაქტი ამტკიცებს, რომ მეფის ლეონის სიმძლიერით საქართველოში მყოფროება ყოფილა და ზაქათალის მაზრაში ქრისტიანობა გავრცელებულა. თუ არ და მეფე აქაურს ეკლესიას ზარს რათ შესწორავდა!

1867 წელიწადებში, როდესაც დაღესტანში დაეა იყო, მაშინ ამ ეკლესიასთან დამდგარ იყო რუსის ჯარი. ამისა გამო ამ ეკლესიაში მომართული ჰქონათ ყველაფერი და პოლკის მღვდელი თურმე შიგ სწირავდა. შემდეგ ამისა 1862 წელს ზაქათალის მცხოვრებლებმა სთხოვეს მთავრობას, რომ მას ნება მიეცა მათთვის, ვისაც ჰსურდა, აქ დასახლებულიყო, და ასე დაედგათ საფუძველი კალონისა. მიზეზი ამ თხოვნისა ჯერ ყოფილა ხალხის სურვილი ეკლესიის აღდგინებაზე, მერე ისა, რომ მის გარემოს მიწების ნაყოფიერება მიიზიდავდა მათ, მაგრამ მთავრობამ მათი აზრი და სურვილი რალაცა მიზეზისა გამო ვერ აასრულა.

ალაგი, სადაც ეს ეკლესია არის აშენებული, ყოფილა ქალაქი, სახელად შიმურ-მაზარი. როგორც ამბობს აქაური ხალხი, ის ყოფილა აშენებული ომარ მეფისაგან, მაგრამ მე კი ვფიქრობ, რომ ამ ქალაქის აშენება უფრო ლეონ მეფის საქმე ყოფილიყოს. ამას ამტკიცებს, მოხსენებული ზარი.

(შემდეგი იქნება).

სამხრობითი განსახლება.

ტფილისის გინაზისი მეშვიდე კლასის მოწაფეს ჰსურს უროკების შოვნა. ადრესი შეიძლება შეიტყონ „ღრუბის“ რედაქციაში.